თიბისი ბანკი

# სატვირთო ლიფტის შესყიდვა და მონტაჟი ცაიშის საწყობისათვის

## სატენდერო დოკუმენტაცია



სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

## I. ტენდერში მონაწილეობის წესები

**წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 05.05.2025წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.**

**ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:**
ირაკლი გუჩუა 577 922 890 iguchua@tbcbank.ge

**სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.com.ge

- ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ფასს და შემოთავაზებული საქონლით დააკმაყოფილებს გამოცხადებულ ტექნიკურ პარამატრებს (იხ. სატენდერო დანართი N1).
- მომწოდებელი ვალდებულია სატენდერო დანართ N1-ში თავიდანვე მიუთითოს ზუსტი მოდელი და სპეციფიკაცია. დაუშვებელია შეუვსებელი გრაფით ან ორი ან მეტი ალტერნატივით ვაჭრობა.
- გამარჯვებული ვალდებულია თანამშრომლობისათვის წარადგინოს თიბისი ბანკის საბანკო რეკვიზიტები.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

## II. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები და საქონლის/მომსახურების დეტალური განფასება (**სატენდერო დანართი N1**);
- სრულად შევსებული და დასკანერებული KYP ფაილი;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;
- შემოთავაზებული ლიფტის სერთიფიკატი და სრული ტექნიკური აღწერილობა;
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ საქართველოს ბაზარზე;